# საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქ. №19-ში

## ყოფილი პროფტექნიკური სასწავლებლის რეკონსტრუქციის (მანსარდის მოწყობის) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია შ.პ.ს. „სამეცნიერო საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრია“-ს მიერ დამუშავებული, ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქ, №19-ში ყოფილი პროფტექნიკური სასწავლებლის რეკონსტრუქციის (მანსარდის მოწყობის) პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, დამუშავებული A-3 ფორმატზე, ალბომის სახით, 15 ფურცლით.

პროექტს თან ახლავს არქიტექტურული ნაწილი და საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური გაანგარიშება, აგრეთვე, სივრცული კარკასის გაანგარიშების როგორც ელექტრონული, ასევე გრაფიკული ვერსია, შესრულებული საანგარიშო პროგრამა ЛИРА 9.4-ის მეშვეობით.

მასალის გაცნობისას ირკვევა, რომ სარეკონსტრუქციო შენობა ოთხსართულიანია, სარდაფის გარეშე.

შენობა გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, გაბარიტული ზომებით 19,54X47,33 მ.

არსებულმა შენობამ 2011 წელს განიცადა ჯდენითი პროცესები, რის შემდგომაც ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის, დასკვნაში მითითებული რეკომენდაციებისა და დამუშავებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის საფუძველზე, მოხდა შენობის ფუძე-საძირკვლებისა და დანარჩენი მზიდი ელემენტების აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების შესრულება, რაც წარმატებით დასრულდა.

15.05.2017 წ. შ.პ.ს. „ს.მ.მ.“-ის მიერ ჩატარდა კვლევა შენობის აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების შესაბამისობისა და მისი ტექნიკური მდგომარეობის შესახებ.

გაწეული შესრულებული სამუშაოებისა და შენობის ტექნიკური მდგომარეობის დასკვნაში მითითებული რეკომენდაციების საფუძველზე,

დამუშავდა არსებულ ოთხსართულიან შენობაზე მსუბუქი (ლითონის) კონსტრუქციებით მანსარდის სართულის მოწყობის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს არსებული სახურავისა და სილიკატური აგურით ნაშენები პარაპეტის დემონტაჟს.

მეოთხე სართულის გადახურვის დონეზე მოწყობილი ანტისეისმური სარტყელისა და მონოლითური რკინაბეტონის დისკოს შესრულების შემდეგ, სრულდება ლითონის სივრცული კარკასის მოწყობა.

მანსარდის სართულის კონსტრუქციები ლითონისაა. სვეტებად მიღებულია HEA 240 ორტესებრი კოჭი, რიგელებად გამოყენებულია HEA 240 და UPN 200 ლითონის კოჭები.

გადახურვა განხორციელებულია მონოლითური რკინაბეტონის ანაკრები ფილის მეშვეობით, სისქით 100 მმ.

კიბე ლითონისაა, რკინაბეტონის ანაკრები საფეხურებით.

ლითონის სვეტების დასამონტაჟებლად მონოლითური რკინაბეტონის სარტყელისა და დისკოში ეწყობა ლითონის ჩასატანებელი დეტალები.

სამუშაოთა წარმოებისას მითითებულია, რომ გამოყენებული იქნას საქართველოში მოქმედი უსაფრთხოების ნორმები რკინაბეტონისა და ლითონის სამუშაოთა უსაფრთხო შესრულებისათვის.

სეისმური დარაიონების მიხედვით ტერიტორია განეკუთვნება 8 ბალიან სეისმურ ზონას.

წარმოდგენილი პროექტი დამუშავებულია დეტალურად და აკმაყოფილებს საანგარიშო პროგრამა ЛИРА 9.4-ის ანგარიშში მიღებულ პასუხებს.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მიმართ, ექსპერტს შენიშვნები არ გააჩნია.

## საბოლოო საექსპერტო დასკვნა

## ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქ. №19-ში, ყოფილი პროფტექნიკური სასწავლებელის რეკონსტრუქციის (მანსარდის მოწყობის) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი იყო შ.პ.ს. „სამეცნიერო საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრია“-ს მიერ დამუშავებული, ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქ. №19-ში, ყოფილი პროფტექნიკური სასწავლებლის

რეკონსტრუქციის (მანსარდის მოწყობის) პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.

შენობა და მისი ცალკეული კონსტრუქციული ელემენტები გაანგარიშებულია მუდმივ და დროებით ვერტიკალურ დატვირთვებზე, აგრეთვე, 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე.

ანალიზისა და წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წარმოდგენილი პროექტის როგორც საანგარიშო, ასევე გრაფიკული ნაწილი შესრულებულია მაღალპროფესიონალურ და გრაფიკულ დონეზე და იგი აკმაყოფილებს საქართველოში მომქმედ სამშენებლო წესებისა და ნორმატივების ყველა მოთხოვნას.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის საფუძველზე, შ.პ.ს. „სამეცნიერო საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრია“-ს მიერ დამუშავებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს, ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქ. №19-ში, მდებარე ოთხსართულიან შენობაზე მანსარდის სართულის მოწყობასთან დაკავშირებით, ეძლევა დადებითი რეკომენდაცია.

შპს „ვ.ზ.ი.“-ს დირექტორი ვ. ციტაიშვილი

ექსპერტი –
ინჟინერ-კონსტრუქტორი ვ. ციტაიშვილი

22.05.2017წ.